შემოსვლის თარიღი: 22/09/2022 წ

გასვლის თარიღი: 11/11/2022 წ

დასკვნა

ქ.ბათუმში ივანე ანდრონიკაშვილის №38-ში ს/კ 05.28.29.098-ით რიცხულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური-მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მისი მომდევნო ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის, საჭიროა არსებული ხარვეზები დროულად იქნას აღმოფხვრილი, რეკომენდირებულია შენობა-ნაგებობას ჩაუტარდეს საფუძვლიანი კვლევა, რომლის შედეგად საცხოვრებელ სახლს მისი მომდევნო ექსპლუატაციის მიზნით შესაბამის პროფილის მქონე საპროექტო ორგანიზაციის მიერ შედგენილი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ჩაუტარდეს სარეკონსტრუქციო-გამაგრებითი სამუშაოები.

შენობა ნაგებობის გარე და შიდა კედლებზე დაფიქსირებული ბზარების, დაზიანებული ჭერის, სახურავის, მიშენებული კონსტრუქციის და აივნების გათვალისწინებით, შენობა-ნაგებობის არსებული სახით ექსპლუატაცია არ არის რეკომენდირებული, დაზიანებული (დეფორმირებული) აივნები და მიშენებული კონსტრუქცია საფრთხის შემცველია და მათი ექსპლუატაცია დაუშვებელია.დეტალურად (იხ.დასკვნის კვლევა).